

გენდერული სტერეოტიპების გავლენა ქალების კარიერულ წინსვლაზე
ქართულ ბიზნესში

ეთა მარუაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, მენეჯმენტში ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თეონა თავდიშვილი, მოწვეული ლექტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტროს ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ეთა მარუაშვილი

01.14.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია გენდერული სტერეოტიპების გავლენის შესწავლა ქალთა კარიერულ წინსვლაზე ქართულ ბიზნესგარემოში. კვლევის აქტუალობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მიუხედავად გენდერული თანასწორობისკენ მიმართული სამართლებრივი ჩარჩოებისა და ორგანიზაციული პოლიტიკისა, ქალები კვლავ არასაკმარისად არიან წარმოდგენილი მენეჯერულ და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, რაც მიუთითებს უთანასწორობის სისტემურ ხასიათზე.

კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 300 რესპონდენტი, ხოლო მონაცემთა ანალიზი განხორციელდა აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკის, ქაი-კვადრატის ტესტის, სპირმანის კორელაციისა და რეგრესიული მოდელების გამოყენებით. რაოდენობრივი მიგნებების გაღრმავების მიზნით ჩატარდა 5 სიღრმისეული ინტერვიუ ადამიანური რესურსების მენეჯერებსა და საშუალო რგოლის ქალ მენეჯერებთან, რომლის ანალიზი განხორციელდა თემატური მიდგომით.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველაზე დომინანტური გენდერული სტერეოტიპი უკავშირდება ლიდერობის აღქმას, როგორც კაცურ თვისებებთან ასოცირებულ როლს. დადგინდა, რომ გენდერული სტერეოტიპების მაღალი ინტენსივობა მნიშვნელოვნად ზრდის ქალთა კარიერული წინსვლის ფარული ბარიერების არსებობის აღქმას, ხოლო შეფასების სისტემების ფორმალური არსებობა ხშირად ვერ ახერხებს ამ მიკერძოების ნეიტრალიზებას. კვლევის მთავარი მიგნება მდგომარეობს იმაში, რომ გენდერული უთანასწორობა ორგანიზაციებში ფუნქციონირებს არა მხოლოდ ღია დისკრიმინაციის, არამედ ნეიტრალური ენით შეფუთული სისტემური მექანიზმების მეშვეობით, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გენდერული თანასწორობის საკითხებზე მიმდინარე აკადემიურ და პრაქტიკულ დისკუსიაში.

საკვანძო სიტყვები: გენდერული სტერეოტიპები; ქალთა კარიერული წინსვლა; ლიდერობა; ორგანიზაციული კულტურა; ქართული ბიზნესი

Abstract

The aim of this master's thesis is to examine the impact of gender stereotypes on women's career advancement within the Georgian business environment. The relevance of the research stems from the fact that, despite the existence of legal frameworks and organizational policies promoting gender equality, women remain underrepresented in managerial and decision-making positions, indicating the systemic nature of gender inequality.

The study employs a mixed-methods approach. The quantitative component involved a structured questionnaire administered to 300 respondents, with the data analyzed using descriptive and inferential statistical techniques, including the chi-square test, Spearman's rank correlation, and regression models. To complement and deepen the quantitative findings, five in-depth interviews were conducted with human resource managers and middle-level female managers. These qualitative data were analyzed using a thematic analysis approach.

The findings reveal that the most prevalent gender stereotype relates to the perception of leadership as a role associated with masculine qualities. The results further demonstrate that a high intensity of gender stereotypes significantly increases perceptions of hidden barriers to women's career advancement, while the formal presence of performance evaluation systems often fails to neutralize these biases. The central conclusion of the study is that gender inequality within organizations operates not only through overt discrimination but also through systemic mechanisms embedded in ostensibly neutral language. This research thus contributes to both academic and practical discussions on gender equality by providing empirical evidence from the Georgian business context.

Keywords: Gender stereotypes; Women's career advancement; Leadership; Organizational culture; Georgian business